

შინაური საქმეები.

ქოველ-კვირული გაზეთი

№ 41.

შასი ერთი შაური

შლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 25 ნოემბერი 1912 წელი

ქოველ-კვირული გაზეთი

შინაური საქმეები

საბუღალტრო საქმეები

შინაური საქმეების

წელიწადი 4 მანეთი
სახ. წლით: 2 მანეთი
სამა თეთრ: 1 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

ქალი თეთრ: 2 მანეთი

შინაური საქმეები: 1. სიტყვა ოც და მეოთხეა კვირიაკესა—ეპის-
კოპოს ლენინისა; 2. წმინდა სიხარული—მღ. იოანე
ლუკიანოვისა; 3. სამწუხარო მოვლენა—უნდო მღვდელ-
ლისა; 4. კრიტიკული შენიშვნები—ხომელიისა; 5. სამ-
ღვდლოების დეპუტატთა მომავალ საქარქიო კრების
საყურადღებოთ—დებ.—მღ. სევ. კეკელიძისა; 6. კვი-
რიდამკვირამდე; 7. ანტონ მიტროპოლიტი მღ. კ.
აძესი. 8. მადლობის გამოცხადება.

მღვდელი მედიტან კელეჩვიცი და
„შინაური საქმეების“ რედაქცია უმოწ-
ხილესად სთხოვენ ავანტებს კავიდეული
კვიტანციების ფული დაუფინანსებლად წარ-
მოვსახენონ „შინაური საქმეების“ რე-
დაქციაში.

„განთიადის“ რედაქცია უმოწილესად
სთხოვენ ავანტებს ხელის მომწერლების სია და
ტურნალის დასაკვეთი ფული საჩქაროთ გამო-
უვხანონ მას, რომ საქირო ვარაუდი დაიკა-
ოს გამოცემის რაოდენობისა. აგრეთვე სთხოვენ
კველოს; ვინც თანამშრომლობას დაპირდა,
მოგვაწოდონ საქირო მასალა.

„შინაური საქმეების“ № 40-თან ერთად
ხელის მომწერლებს დაურიგდა წიგნაკი „სოკ-
ლილი მართლისა“. ამ ნომერთან ურიგდება

წინააი „პროფ. მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე“. გურია-სამეგრელოს ეკლესიებს და ქართლ-კახეთიდან ხელის მომწერლებს ამას გარდა დაურიგდებათ წიგნი „სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა“ მხოლოდ იმ პირობით, თუ გასაგზავნ ხარჯათ შვიდ-შვიდ კაპიკან მარკას მოგვაწვდიან.

სიტყვა

ოც და მყოთსე კვირთაქესა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა
წმიდისათა.

დღეს წმიდა ეკლესიამ მოგვასმენია სახარებიდან საყურადღებო მოთხრობა ორ დიდებულ შემთხვევაზე: როგორ აღადგინა ისეო ქრისტემ მკვდრეთით ებრაელების სამლოცველოს უმფროსის — იაროსის თორმეტი წლის ქალიშვილი და როგორი სისწრაფით, მარტოდ მარტო ქრისტეს ტანისამოსის ოდნავ შეხებით, განიკურნა წიღოვანებისაგან თორმეტი წლის განმავლობაში ტანჯული დედაკაცი, რომელსაც, სახარების მოწმობით, „ყოველი მონაგები თვისი წარეგო მკურნალთა ზედა, და ვერვის განეკურნა“.

აღდგენა ან გაცოცხლება მიცვალებულისა და უაქიმოდ გამთელება დიდხნიდან სნეულისა — ეს ისეთი მოვლენა, ისეთი ხასიათის შემთხვევა და საქმეა, რომლის მსგავსი დიდი იშვიათობაა ჩვენს ცხოვრებაში. ამგვარ არა ქვეყნიური ძლიერებით მაელვარე შემთხვევებს მორწმუნენი სახელად უწოდებენ **სასწაულებს**.

სასწაულები დიდრონი, ვერსების მაჩვენებელი ბოძების მსგავსი, ნიშნებია იესო ქრისტეს კაცობოყვარებისა, მისი კაცთადმი განუსაზღვრელი შებრალება — შეწყალების გამოცხადებისა. მაცხოვრის გული ზღვა იყო გაჭირვებულთადმი შეწყნარებისა და ამის გამო იგი ისე უხვად სთესავდა ქვეყანაზე მადლსა და წყალობას, როგორც კურთხეული მთესვარის მადლიანი მარჯვენა ბურის თესლს საფარცხში.

აქ უნდა გავიხსენოთ ის ქეშმარიტება,

რომ როგორც თვით „იესო ქრისტე გუშინ, და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე“, (ებრ. 13, 8) ისე მთელი მისი მოძღვრება და ყოველი საქმე. მაშასადამე, სასწაულებიც საზარადისო და საუკუნონი არიან თავიანთი გავლენით და მნიშვნელობით. თუ ქრისტეს სასწაულები მათ მნახველებსა და დამსწრეთ უღვიძებდნენ სულიერ შეგნებას, უღრმავებდნენ და უძლიერებდნენ სარწმუნოებრივ გრძნობას და ჰბადებდნენ მათში ღვთისადმი სასოებას, უნდა ვთქვათ, რომ ასეთსავე შთაბეჭდილებას ქრისტეობა შემდეგ დროთა ქრისტიანებზე ამ სასწაულების გაცნობა, მათი აღწერა, მათ შესახებ სახარებიდან მოთხრობების მოსმენა. ვინ მოსთვლის, რამდენი კაცის გული აუვსია ღმობიერებით და სასოებით ქრისტეს სასწაულების აღწერილობას, რამდენი კაცის გულში უფეთქია სარწმუნოების ძლიერ აღს, როდესაც მის, ყურს მოხვედრია სახარების მოთხრობა ქრისტესაგან ოდესმე მოხდენილი სასწაულების შესახებ!

იცის წმიდა ეკლესიამ, რომ ქრისტეს სასწაულები, ეს ერთ დროს მისგან გამოსული ღვთაებრივი ძლიერების სხივები, მძლავრად მოქმედობენ ყოველ დროს მორწმუნე კაცზე და ამიტომაც, რომ იგი წლითი წლობით უმეორებს თავის შეილებს თქმულებას მათ შესახებ, ამითი აიხსნება, რომ დღესაც თვალწინ და გვიდგა მან ცოცხალი სურათი ნახსენები ორი სასწაულისა.

მაგრამ, ძვირფასო მსმენელებო, განა იაროსის ქალიშვილის აღდგენის მნახველებმა და წიღოვანი დედაკაცის სწრაფი განკურნების მოწმეებმა, ყველამ სიხარულით მიიღეს და სინამდვილეთ აღიარეს ის, რაც მათმა საკუთარმა თვალმა ნახა, რის მოწმეებიც იყვნენ, რასაც თითონ დაესწრენ? არა, და არა!

ავილოთ სხვა შემთხვევა.

ერთხელ იოანე ნათლისმცემელმა მიუვლინა იესო ქრისტეს ორი თავისი მოწაფე დასაკითხათ — შენა ხარ აღთქმული მესია, თუ სხვას უნდა მოველოდეთო. ნაცვლად პირდაპირი პასუხისა, ქრისტემ უბძანა მიგზავნილებს: მი-

ვედით და უთხარო იოანეს, რომელი გესმის და ჰხედავთ: ბრძანი აღიხილვენ, მკელობელნი ელენან, კეთროვანნი განჰსწმდებიან და ყრუთა ესმის, მკვდარნი აღჰსდგებიან და გლახათა ეხარების (მათ. 11, 4-5).

განა შესაძლოა სხვა რამ კიდევ ამაზე უფრო დასაჯერებელი, უფრო მისაღები, უფრო სარწმუნო და სანდო! ყველაფერი სრულდებოდა ხალხის თვალწინ, საჯაროთ, დღისით; ყველა სასწაულების სინამდვილეს ამოწმებდა ხმაძალადი ქადაგებ-ლაღადებით თვით განკურნებულთა სიმრავლე, მაგრამ რა გამოვიდა? განა ურწმუნო ებრაელებმა შეისმინეს რამე? ასე რომ ყოფილიყო, ხომ იესო ქრისტესაც ძედ ღვთისად სცნობდენ, მაშინ ხომ აღარც გოლგოთაზე აღიშართებოდა ქრისტესთვის ჯვარი, მაშინ ხომ ქრისტეს დროის ებრაელები აღარ აიღებდენ თავიანთ თავზე და შვილებზე იესო ნაზარეტელის სისხლს.

არა, ქრისტეს სასწაულებზე პირდაპირმა დასწრებამ, სასწაულების საკუთარი თვალით ნახვამ ზოგიერთები, განსაკუთრებით სადუკეველნი და ფარისეველნი, უფრო ააშხედრა და მათი სინამდვილის გადამეტებულ მტრებად გახადა. იგინი ვაძიანდნენ ქრისტე ბელსებულის ძალით მოქმედობს (მათ 12, 23), თვალთმაქცობს და ხალხს ატყუებსო (იოან. 9, 24) და სხ.

მაშნუ გაგვიკვირდება, ძვირფასო, რომ ჩვენს დროშიაც მოიპოვებიათ ამგვარი პირები, ეხლაც არსებობენ სადუკეველები და ფარისეველნი, ეხლაც ზოგიერთა მწიგნობარნი და მეცნიერნი უარს ჰყოფენ ქრისტეს სასწაულებს დასცინიან სახარების იმ ალაგებს, რომლებიც მოგვითხრობენ სასწაულების შესახებ, ამტკიცებენ, რომ სასწაულები შესაძლო იყო მხოლოდ ძველს, ე. ი. უფიცობისა და ჰკუის სიბნელის დროს, თორემ მათ რომ სინამდვილესთან რაიმე კავშირი ჰქონდათ, ეხლაც შესაძლო იქნებოდა მათი გამოჩენა, რადგანაც ეხლაც ბევრი არიან ბრძებიც, ყრუებიც, ჰკუაზე შეშლილებიც და მკელობელნიც, მაგრამ ეხლა არავისზე ხდება სასწაული იმიტომ, რომ მათ არც არა-

სოდეს ჰქონიათ ნამდვილათ ალაგიო და სხ. და სხ.

სამწუხარო და საფიქრებელია არა მოყვანილი მსჯელობა ჩვენი დროის ურწმუნო მწიგნობრებისა, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ისინი სტეპნიან ძველის ძველს, იესო ქრისტეს თანამედროვე მწიგნობრების შემცდარსა და ტალახიან გზას, სამწუხაროა ის, რომ ხშირათ მოაწმუნენი, ქრისტეს სასწაულების ვითომდა ნამდვილათ მიმდევარნი თავიანთი მსჯელობით ეთანხმებიან ხოლმე სასწაულების უარისმყოფელებს, ხშირათ გაიგონებთ მოაწმუნეთაგან: „სად არის ი დალოცვილი ქრისტე, რომ ამ ჩვენს ურწმუნო დროში ძველებურად სასწაულებს აღარ ახდენს საქვეყნოთ ურწმუნოთა ხმის ჩასაკმენდათ და შესარცხვენადო“.

აი, სავალალო და შესაწუხებელი სწორეთ მოაწმუნეთა ამ გვარი მსჯელობაა და არა არა-ქრისტიანეთა ქადაგება. როგორ, განა მოაწმუნეთათვის დღეს ცოტა სასწაულთმოქმედი ხასიათის შემთხვევები ხდება ცხოვრებაში? განა დღეს კი ქრისტე თავისი რჩეული წმინდანების მეოხებით და შუამავლობით ნაკლებად ჰკურნებს მოაწმუნე და მსასოებელ სნეულებს, ვიდრე იმ დროს, როდესაც ქვეყანაზე იმყოფებოდა?! მაშ სიტრუე და სიყალბეა, მაგალითად, ის მოთხრობები, რომლებსაც აერცელებენ ჩვენში დავით და კოსტანტინეს მლოცველები ყოველ წლივ არა ერთსა და ორს უკურნებელ სნეულთა სასწაულებრივად გამთელების შესახებ? განა ეს სასწაულები მარტო სხვების ნალაპარაკევიდან გაგვიგია? განა თითონ ჩვენ კი არ დავსწრებივართ და მოწამე არ ცყოფილვართ მათი? ეს ჩვენში, ჩვენი პატარა სამშობლოს სულ პატარა კუთხეში და რამდენია ამისთანა ალაგები მთელ საქრისტიანოში? რამდენს სწერენ და მოწმობენ სრული ნდობის ღირსი პირები ამისთანა სასწაულებრივ განკურნებათა შესახებ საქრისტიანოს ყოველ მხრიდან? არა, დღესაც ქრისტე მაცხოვარი იმ გვარადვე სწყალობს და ჰკურნებს მოაწმუნე სნეულებს, როგორც თავის ქვეყანაზე მყოფობის დროს. ამისი შეუმჩნეველად დატოება, ამა-

ზე სიჩუმე და უკურადღებობა მორწმუნეთა მხრივ სწორეთ რომ უცნაურობა და სათაკილო ქუეპოკლეობაა!

მრავალი ქრისტიანები საკუთარი თვლით ხელავენ ცხად სასწაულებს, პირის პირ ელაპარაკებიან სასწაულებრივად განკურნებულებს, თითქმის დღე მუდამ კითხულობენ საღი გონებისა და კეთილი სენინდისის პირების მოწმობას — ამა და ამ ალავს მოხდა ასეთი და ასეთი სასწაულიო, მაგრამ მათთვის ყველა ეს მაინც არ ემარობს, იგინი კიდევ რალაცას ექვობენ და სწუხან, რატომ ამ სასწაულების სინამდვილე სხვებთან ერთად არ სჯერათ ურწმუნო სწავლეულებსაცო, რატომ სხვებთან ერთად ისინიც არ აღსტურებენ, რომ სასწაულები შესაძლოა.

სწავლული და განათლებული პირები, რათქმა უნდა, დიდათ პატივსადები და დასაფასებელნი არიან, მათი რჩევა და აზრები სიმბოვნებით მისაღები და დასაჯერებელნი არიან მაგრამ სწავლულიც არის და სწავლულიც არიან სწავლეულები, რომლებსაც სარწმუნოებრივ კითხვებში სულ უსწავლელი ტყეში მცხოვრები სჯობიან, რომლებიც დაბრმავებულნი და დამახინჯებულნი არიან სულიერათ თავიანთი შემცდარი და უნიადაგო სოფლმხედველობით, ერთხელ ამოჩემებული ბრმა რწმუნით, ასეთებია სწორეთ სასწაულებს უარყოფელი სწავლეულები. ამ მეცნიერებს სრულებით არა აქვთ რწმენა უხილავი, სულიერი, არა ნივთიერი ძალისა. მათი მოძღვრებით არსებობს მარტო მატერია, მარტო ის, რასაც ხელით შეეცვებით, ყურით გავიგონებთ, თვლით დაინახავთ, ვიყნოსავთ და გემოთი განვიცდით, დანარჩენი ყველაფერი მათთვის უბრალო ზოპარი და არაკია.

რას უნდა მოველოდეთ, გარდა უარის ყოფისა, სასწაულების შესახებ იმ პირებისაგან, რომლებსაც არ სწამთ ღმერთი, რომლების რწმენითაც ქვეყნიერობის გაბეგ და მაწარმოებელნი არიან ბუნების უცვლელი კანონები? რა თასი და მნიშვნელობა აქვს მორწმუნეთათვის ასეთი სწავლეულების ბჭობას სასწაულების შესახებ, როდესაც იგინი მოკლებულნი არიან აუკლებელ ორგანოს სულიერი არსების და-

ნახვისა, შეგნებისა და განცდისათვის, როდესაც მათ არა აქვთ სარწმუნოება რომელიც, დიდებული პავლე მოციქულის განმარტებით, არის „მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა (ებრ. 11, 1)“?

რატომ უნდა შეკრთეს ამ გვარი სწავლეულის წინაშე თუ გინდ სულ უბრალო მორწმუნე და რატომ არ უნდა შესძლოს მან თავისი რწმენის დაცვა ამისთანა მეცნიერის წინ? ურწმუნო მეცნიერი რომ უარსჰყოფს ქეშმარიტსა და ყველაფრად გონებაში მისაღებ სასწაულებს, თითონ რალათ გიქადაგებს ზღაპრების მსგავს აზრებს. ეს მეცნიერი რომ გარწმუნებს: კაცი თავის თავად დაიბადა და გაჩნდა ქვეყანაზე მარტოდ მარტო ფიზიკური ძალების გავლენითო. რატომ შენ კი, მორწმუნეო ძმაო, არ ეკითხები მას სად წავიდენ, რა დავმართათ, ეხლა რალატომ არ მოქმედობენ ის ფიზიკური ძალები, ეხლა რალატომ არ ჰბადებენ იგინი უსულო ბუნების წიალიდან აღამიანებს? შენ რომ ეს მეცნიერი ჩაგცივებია რაც თვლით არ დაინახვება, ის არც დასაჯერებელიაო; რატომ შენის მხრით არ ჰკითხავ — მას ვილამ მოუტანა პირველი კაცის გაჩენის ამბავი, ვინ იყო პირველი კაცის ბებია, ვინ დაესწრო კაცის დაბადებას ბუნების წიალიდან? რა უკირავს მას ხელში ამ თავისი რწმენის უტყუარ საბუთად? მეცნიერი რომ გარწმუნებს, როგორც კაცში, ისე მთელ ბუნებაში სიცოცხლე აინთო თავის თავად, სრულებით დამოუკიდებლად ღვთისაგანო, რატომ შენ კი არ ჰკითხავ — ეხლა რალატომ არ აქვს ალავი ამ გვარ მოვლენას ბუნებაში? ეხლა რალათაა, რომ სიცოცხლეს, მხოლოდ სიცოცხლე ჰბადებს, ეხლა რალატომ არა ორგანიული სხეული არ ბადებს ორგანიულ არსებას, რატომ კენჭი არ ამოდის მცენარედ? შენ გედავება და გიმტკიცებს, რომ ოდესღაც კაცი პირუტყვი და ნადირი იყოო, ერთი შენცა ჰკითხე მას — საიდან იცის ეს, ვინ იყო ამის მომსწრე, ან რატომ ამოდენა ურწმუნო მეცნიერები არ ეცდებიან ეხლა ჩვენ დასარწმუნებლად ერთი მიამუნი მაინც გახადონ სრულ კაცად, ერთი მიამც აამეტყველონ კაცის მსგავსად, ერთ მიამ

მუნს მაინც დააწერინონ უბრალო მოკითხვის ბარათი, ან შეათხუზენონ სოფლური სადა სიმღერის სულ პატარა მუხლი? ასე, საყვარელო სულიერო შეილება, იქონიეთ ნამდვილი რწმენა ღვთისა, და რაც უნდა ფართო იყოს ურწმუნოების მეცნიერება. მტკრად დაიბნევა თქვენს წინაშე, „რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქვენ მას ეამსა შინა, რა იგი ჰსთქვათ“ (ლუკ. 12, 12). ამინ.

უპისკოპოსო ლეონიდი.

წმინდა სინხარული.

(თანგმანა)

დროგამოშვებით ჩემთან იშვიათად შემოდის ხოლმე ჩემი ყოფილი მასწავლებელი — ბორის პავლეს ძე, კაცი, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანის შეზოდულობით მეტის-მეტად თავისებური.

პატარა ტანის, გამხდარი მოხუცი, უსწორ-მასწორო ფეხებით, გრძელი წვრილი ცხვირით კორფლიან პირისახეზე, — ის პირველი შეხედულობით სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენს.

მაგრამ იმისი გონიერული, კეთილი, სუფთა და მხიარული თვალები, როგორც — კი ჩაატკერდები მათ, მსწრაფლ გავიწყებენ მის თვალ-მიუვალ გარეგნობას.

— ეს თვალები კი არ არის, არამედ ორი სანთელი, რომელშიაც ანთია წმინდა სიყვარული და ბრწყინავს დიდი ჭკუა, — ამბობენ მეგობრები ბორისისა.

სცხოვრობს ის მარტოდ — მარტო ერთ პატარა სახლში, რომლის ერთად — ერთ მორთულობას შეადგენს წიგნები და რამოდენიმე სასუცხოვრო გამოქანდაკებული სახე მაცხოვრისა.

ნაცნობებში ბორის პავლეს ძე ძალიან იშვიათად იმყოფება, და სახლშიაც ძნელია იმისი პოვნა: ის მუდამ გართულია თავის რაღაც საქმეებში, ან მოჩხუბრებს ერთმანეთთან არაგებს, ან ვინმე უპატრონოსთვის სამსახურს ეძებს, ან ვინმე უცნობის შვილებს ადგილზე აყენებს.

— რატომ ასე გვიგვიანებთ ხოლმე ნახვას, — ეკითხებოდნენ მას მეგობრები, ნუ თუ თქვენს ცარიელ სახლში არა გწყინდებათ

მარტოდ ყოფნა? ჩვენ — კი ყოველთვის გვიხარიათ თქვენი ნახვა.

მართალია, — უპასუხებს ხოლმე ბორისი, — მაგრამ მე არა მცალიან, რომ ხშირად გინახულოთ ხოლმე. საქმიდან თავი ვერ ამიღია. თქვენ მკითხავთ: „ნუ თუ ცარიელ სახლში მარტოდ ყოფნა არა მწყინდება მე?“ განა მე მარტო ვარ? ჩემი ოჯახი მთელი ხალხია. მე, ხომ იცით, გლეხი ვარ შთამომავლობით, გლეხთავე დავრჩი, ყველაფერს სოფლურად ვუცქერი: ეს აქ, ქალაქებში, მომწყდებულა ხალხი ქვის ტომარებში, შეუბოქნიათ მიწა ქვაფენილი გზებით, და თითქოს თითონაც გაქვავებულან. სახლები ქვისაა, გული რკინისა. გაყოფილან ერთიერთ-მანეთიდან ქვიტკირის კედლებით, და თავის მეზობელთან აღორც-კი უნდათ, კავშირი ჰქონდეთ. სოფელში ორას-სამასი კომლი მოსახლეა, და ყველანი ერთმანეთს იცნობენ; თუ უნდათ შედიან ერთი-ერთმანეთთან საბაასოთ; ქუჩაზე შეგიძლია დადგე, და ვისთანაც გინდა, შეგიძლია გულიანათ ელაპარაკო. აბა სცადე ეგრევე მოიტყე ქალაქში. აქ ხალხი წლობით ერთ სახლში სცხოვრობენ; ერთ კიბეზე დადიან, ერთი კარები ჰყოფს იმათ სადგომებს, მაგრამ ერთმანეთს-კი ვერ იცნობენ. ერთ ჰერ ქვეშ აღამიანები სცხოვრობენ, ცოლს ირთავენ, ავადმყოფობენ, იხოცებიან და მეზობელთან კი არა ვითარი კავშირი არა აქვთ. სცადე აბა, შედი მეზობელთან საბაასოდ, გასართობად, — მაშინვე კარებისკენ მიგითითებენ ხელს; აბა გააჩერე ვინმე ქუჩაზე, დაელაპარაკე მას უბრალოდ, — სულელად ჩავთვლიან. ჩვენ სრულებით გადაეგვარებულვართ დიდ ქალაქებში. მე, იცით, მიყვარს ქუჩებში სიარული, და დიოგენივით თვალიერება გამველელ-გამოვლელებისა. ხალხი ბევრია, მაგრამ ძნელად შეხვდები ისეთ კაცს, რომელთანაც შეიძლებოდეს მისვლა და მწუხარების გაზიარება. ჩვენი მწუხარების შემსუბუქება-კი ადვილად შეიძლებოდა, ჩვენ რომ ერთმანეთთან ახლო გვეცხოვრა სულით და ასეთი გაქვავებული გული არა გვექონოდა. წარმოიდგინეთ, გუშინ რანაირი შემთხვევა მქონდა მე: მივდივარ საღამოთი მიკარდნილი ქუ-

ჩით. ვხედავ, წინ მოდის ვიღაც ქალი, როგორც ეტყობოდა, მწუხარებით ძალიან მოკული. შევხედე: პირისახეზე მწუხარება სჩანს, თვალღებში ცრემლი უბრწყინავს.

— „უკაცრავად, — ვეუბნები მე, — რომ უცნობი კაცი გაჩერებთ და გელაპარაკებით. მე ვიცი, რომ მწუხარება ყველა ადამიანისთვის მძიმეა. არ შეგიძლიანთ, მითხრათ რაში მდგომარეობს თქვენი უბედურება? შეიძლება როგორმე გიშველოთ; და თუ არ შეიძლება, მწუხარების გახიარება სხვასთან კარგია, ესეც ხშირად ამსუბუქებს საქმეს.“

შემატეო იმ ქალმა გულწრფელობა, — განაგრძო ბორისმა, — და დაწვრილებით მომიტხრო მთელი თავისი უბედურობა. წარმოიდგინეთ, შესაძლებელი აღმოჩნდა მისი შველა. დღეს იმის გულისთვის მთელი დღია სულ დავრბივარ. სადაც, საჭირო იყო მივდი და დამპირდნენ შველას. საწყალი ქალი გაცოცხლდა, და მე ეს მიხარია, დიდად მიხარია. თქვენ შეკითხებოდით: ხომ არა მწყინდება მე მარტოდ ყოფნა. ნამდვილ სიტყვას მოგახსენებთ, არ ვიცი რა არის მარტოობის მოწყენა, და არც მკოდნია მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მარტოდ, როგორც გითხარით, მე არასოდეს არა ვარ: ჩემს ოჯახს შეადგენს მთელი ხალხი; ხოლო რაც შეეხება ცარიელ სახლს, ეს კი არ არის საშიში, არამედ საშიშია, როდესაც თითონ შენში, შენს გულში ცარიელია.

ადამიანებისთვის ხშირად სამძიმოა ცხოვრება; ამაში თითონვე არიან დაზნაშავენი. ცხოვრება მომეტებული ნაწილისა გაგრძელებულია, როგორც ვაჭიანურებული ნისლით დაბურული, დაღვრემილი დღეები. ჩვენ გვაწუხებს და გვიხუთავს სულს ეს საყოველღეო მოწყენილი, სადაგი პროზა ცხოვრებისა, და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ჩვენში არ არის არც ერთი სხივი პოეზიისა, ხოლო უმაღლესი პოეზია ცხოვრებისა არის პოეზია სიკეთისა, პოეზია სიყვარულისა და სიმართლისა.

— არ ვიცი, გახსოვთ თუ არა თქვენ, — მომპართა ბორისმა მე, — ჯერ კიდევ ახალგაზღვრებს სასწავლებელში წაგიკითხეთ კარგი პა-

ტარა წიგნი ლებოკისა: „სიხარულნი ცხოვრებისა“, სადაც ავტორი ამბობს, რომ ჩვენ ცხოვრების მრავალ სიხარულს მოკლებულნი ვართ, ვერ განვიცდით ჩვენისავე საკუთარი მიზეზით, და სადაც ლებოკი მშვენიერად ხსნის, რამდენი სინათლე პოეზიისა შეუძლიან შემოიტანონ ჩვენი ცხოვრების პროზაში მოგზაურობას, კარგ წიგნებს, კარგ შეგობრებთან საუბარს და მრავალს სხვას ამისთანას.

— მე ჩემის მხრივ, — ამბობდა ბორისი, — მიუმატებდი კიდევ ერთს წყაროს სიხარულისას. ეს არის გული ადამიანისა, რომლითაც იმას შეუძლია უყვარდეს მეორე ადამიანი, უხაროდეს სხვისი სიხარულით. ჩემი აზრით, ამაში არის დამალული დაუშრეტელი წყარო ყველაზე წმინდა და სრული სიხარულისა: მაგალითისთვის მე მოგიტხრობ ორ შემთხვევას ჩემი ცხოვრებიდან:

„დიდი ხანია მას აქეთ, ჩემი მასწავლებლობის პირველ წლებში, მე ვიყავი საზღვარ-გარეთ და თითქმის მთელ ზაფხულს დავდიოდი შვეიცარიის მთებში და იტალიის ტბების ნაპირებზე, საუკეთესო ხანა იყო ჩემი ცხოვრებისა. მთებზე მშვენიერი, სუფთა ჰაერი, სიწყნარე, მოწმენდილი, ბრწყინვალე ცა, და კაცის გულშიაც სიწყნარე და სიმშვიდე. მოგხვდია ქალაქ ლუგანოში. ერთი კვირა დავრჩი, პატარა ქალაქია. ზოგს ვიცნობდი, ზოგიც ახლად გავიცანი. ერთხელ, სალამო-ხანს გავიარე ნავთსაღვურზე. ხალხი ბლომად იყო; მომეტებული ნაწილი უსაქმო. იმათში იდგა, ჩემი ნაცნობი შვიდი წლის ბავში ანიკო, ობოლი, და სრულიად უპატრონოდ დარჩენილი; იმას ხელში ეჭირა პაწაწა ფინია, როგორც ერთადერთი მახლობელი არსება. უცბად ფინია ბავშვს ზღვაში გადაუარდა. მორთო ღრიალი ქალმა: „ნიერო, ჩემო საყვარელო ნერო!“ ყვირილი იყო ძალიან გულ-მომწყვეელი. ხალხმა გაიგო რა ფასიც ჰქონია ფინიას ანიკოსთვის. ყველას ეცოდება მტირალი ბავში, მაგრამ წყალში შესვლას ფინიასთვის ვერავინ ბედავდა. უცებ წყალში გადაეშვა ვიღაც კაცი, გამოიტაცა ტალღებიდან ფინია, გამოსკურდა ნაპირზე

და ჩააბარა იგი პატრონს. საბრალო ბავშვს ბედნიერებით გაუბრწყინდა პირის-სახე და დაუწყა კოცნა თავის გადარჩენილს ფინიას. ხალხმა, ნიშნად მადლობისა, ხელათ შეაგროვა ფული და მისცა უცნობ კაცს, რომელმაც ფინია გადაარჩინა. კაცმა ეს ფული მაშინვე მიუტანა და მისცა გახარებულ ბავშვს; თითონ წავიდა და წამოწვა მზის გულზე გასაშრობად. ხალხი წაივლდა-წამოვიდა, და როდესაც იქ აღარავინ იყო, მე მივედი იმ კაცთან და უთხარი: „რათ მიეცით ანიკოს ფულები, თქვენთვის შეგროვილი?“ — „ის ფულები იმისთვის უფრო საჭიროა“ — დაშვიდებით მიპასუხა უცნობმა.

— „ღიახ, მაგრამ თქვენთვისაც საჭირო იქნებოდა ფულები, — თქვენ დიდებულად დაიმსახურეთ ეს, — ვუთხარი მე, არ შეიძლება რომ მეც შემოგთავაზოთ ფული? მე ვიცი, როგორ უბედურებას აგრძნობინებდა ანიკოს მისი ფინიას დაღუბვა, და მე მიხარია, რომ თქვენ გადაარჩინეთ მისი ბედნიერება“.

— „არა, პატრონო, — მითხრა ჩემმა მობასემ, — ეხლა ნუ ვილაპარაკებთ ჩვენ ფულებზე. სხვა დროს მე ავიღებდი თქვენგან ფულს; ეხლა კი არა, ეხლა მე უფულოთაც კარგად ვაგრძნობ თავს. ბევრი ბოროტება მიქნია ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო კეთილი-კი არავისთვის. ეხლაა, თვით მეც არ ვიცი, როგორ გადავხტი წყალში, და ფინია გამოვიყვანე. საცოდავი ბავშვი, რა საშინლად სწუხდა! მე დიდად მიხარია, რომ მას ასეთი ბედნიერება დაუბრუნე, რომ მეც, — მაწანწალა ქერა ჯაკს, — შემოძლიან ვინმეს ბედნიერება მიესცე“.

„მე მიეხვდი, რაც ჰქონდა ამ წუთში ქერა ჯაკს გულში; მიეხვდი, რომ ასეთი გრძნობისთვის ის მზათ იყო კიდევ თავგანწირულება გაეწო, — რომ ეს იყო საუკეთესო წამები მის ცხოვრებაში. მე ჩამოვართვი მას ხელი და ბრწყინვალე გრძნობით გავეშურე შინისკენ; მე დიდად მოხარული ვიყავი, რომ ენახე ბედნიერი ანიკო და კმაყოფილი ქერა ჯაკი.“

„უბრალო გარემოებაა. ვიდაც მაწანწალა ჯაკმა გამოიყვანა წყლიდან ფინია ობოლი ბავ-

შისა; მაგრამ რამოდენა სიხარული მოჰქვინა ყველა მნახველს, რამოდენა ბრწყინვალე პოეზია ჩაანათა ამან ხალხის გულში!“.

— მეორე შემთხვევა, მიაშობო კიდევ ბორისმა, გარდაიცვალა ჩემი ნაცნობი პედაგოგი, გულმოდგინე და ნიჭიერი მუშაკი. მე ის მინახავს სხვადასხვა საზოგადოებაში; ვიცი, რომ ის ბევრს აკეთებდა ხალხის განათლების საქმეში, ბევრს მუშაობდა, და ბოლოს ამ საქმეს თან გადაჰყვა. მე გავიგე მისი სიკვდილი გაზეთებით, დამენანა, შევწუხდი, მაგრამ მერე საქმეებში გავერთე და კიდევაც დამავიწყდა. ერთ დღეს მომდის წერილი; ეტყობოდა ქალური ხელი იყო, უცნობი. ვკითხულობ. მწერს ცოლი განსვენებულისა, მასწავლებელი ქალი. თურმე უბედურება ქმრის სიკვდილით არ გათავებულყო. ახალი უბედურება მოელოდა კიდევ. ქმრის ავადმყოფობაში იმ იმედით, რომ ის შორჩებოდა და გადაიხდიდა დანახარჯს, ცოლს დაუხარჯნია ოთხმოც და ათი თუმანი, რომელიც მას ჰქონოდა შკოლის შენობის შესაკეთებლად! ქმარი აღარ ჰყავდა და ფულის ანგარიში-კი უნდა მიეცა. სად უნდა ეშოვნა ოთხმოც და ათი თუმანი. ბევრი ცდილიყო საბრალო დედაკაცი აქეთ იქით, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მწერს მე:

— „მე თქვენთვის სრულებით უცნობი ვარ, და თქვენ არასოდეს არ მინახევხართ. მხოლოდ თქვენზე ბევრს მელაპარაკებოდა ხოლმე ჩემი ქმარი. მე არცა მაქვს იმედი, რომ მივიღო რამე თქვენგან, რადგანაც თქვენ თითონ ხელმოკლე ყოფილხართ. მე მინდა მხოლოდ ყველა ნაირად ვეცადო. სირცხვილს გაფლანგვისას მე ვერ ავიტან. მთელი სიცოცხლის განმავლობაში მე და ჩემი ქმარი ვასწავლიდით ბავშვებს პატიოსნებას, აქ-კი... ქურდობაა. ჩემთვის სიკვდილი სჯობია ასეთ სიცოცხლეს. თქვენ უკანასკნელი ჩალა-და ხართ, ხელის მოსაკიდი. არ შევიძლიანთ რომ გამოვსავალი მიჩვენოთ ამ ცუდი მდგომარეობიდან? ვიმეორებ მხოლოდ: მე მომავალშიაც ვერ დაეპირდები ვალის სრულს გადახდას“.

„რას ვიზამდი? მე თითონ არ მქონ-

და ეს ამოდენა ფული, რომ ხელი გამემართა; სხვისგანაც სესხება არ შემეძლო, რადგანაც ვერ გადავიხდიდი; საჩუქრათ მეთხოვა ვისგანმე, უხერხული იყო: ოთხმოც და ათი თუმანი ოთხმოც და ათი კაპეიკი ხომ არ არის. მეორე მხრივ-კი ადამიანის სიციხლევ ამაზე იყო დამოკიდებული, ცხრა ას-მანეთიან ქალაღზე! ცხრა ქალაღის ნაჭერი სწყვეტავს პატროსანი, სასარგებლო მუშაჲი კაცის სიციხლევს.

„ძალიან მეწყინა, თითქოს ჩემ სიკვდილის განაჩენს კითხულობდი. ბევრი ვიფიქრე, როგორ მეშველა, მაგრამ ვერა მოვიგონერა. წავედი გაკვეთილზე: სადილს შემდეგ მე ვაძლევდი კერძო გაკვეთილს ერთ გრაფის სახლში.

„ვაძლევ გაკვეთილს, ვუამბობ რომის პატრიციებზე: თავში-კი ოთხმოც და ათი თუმანია, ქალი მასწავლებელი და მისი სიტყვა; ასეთ სიციხლევს სიკვდილი მიჩვენებია.“

„გაკვეთილზე იჯდა დედა მოწაფისა, თვით გრაფინია. უთუოდ შემნიშნა, რომ მე ჩემს ფერზე არ ვიყავი, და მეკითხება:

— „ავათ ხომ არა ხართ, ბორის პავლესძე?“

— „ვერა ვარ გუნებაზე, — ვუბასუხე მე.

— „რაშია საქმე?“

— „აი წაიკითხეთ, და მივეცი წერილი.

„გრაფინიამ წაიკითხა წერილი. წაიკითხა და დაფიქრდა. მე გავათავე გაკვეთილი და გამოვეშვილობე. ჯერ არ გამოვეცილებოდირ სახლის კარებს. რომ მიძახის გრაფინია და მეუბნება:

— „რა ბედნიერი შემთხვევაა! ეს არის ეხლა უნდა მიმეცა ცხრაასი მანეთი ელექტრონის გამოყვანაში, მაგრამ ეს ისეთი საჭირო არ არის, ამას შემდეგშიაც მივეცე. ეხლა წაიღეთ თქვენ ეს ფული და გადაეცით იმ მასწავლებელ ქალს.

„მე არ ვიცი რა მომივიდა. სახრჩობელაზე რომ ვყოფილიყავი აყვანილი, უცებ ქუჩებიან ჩემთვის სიციხლევ და თავისუფლოდ გავეშვიეთ, — მე ისე არ გამეხარდებოდა, წავედი მაშინვე მასწავლებელ ქალთან. დღე იყო მოღრუბლული, წვიმიანი; შემოდგომისე-

ბურად სტრიდა. მაგრამ ჩემ გულში გაზაფხული იდგა, მზე ბრწყინვალეთ ანათებდა, გალობდნენ ბულბულები, გაშლილი იყო ია-ვარდი. გული ჩემი აღსაყვ იყო წმინდა სიხარულით..

„და ბევრგვარი ამნაირი სიხარული შეგვეძლო გამოგვეცაღნა ჩვენ, — გაათავა ლიპარაკი ბორისმა, — ჩვენ რომ სულით ერთმანეთთან ახლოს მივსულიყავით“..

მე ვუცქერდი გულმოდგინეთ ბორისს მის ბრწყინვალე მხიარულ თვალებში, მაგრამ დებოდა მისი მუღმივი კმაყოფილება სიციხლევით, ხალხით, ადვილათ მესმოდა მისი საუბარი სიციხლვის სიხარულზე, და მე გულით მინდოდა ერთი-რამ, რომ ამისთანა კეთილი ადამიანები ჩვენს ცხოვრებაში იყვნენ ბლომად, რომ ჩვენც მისებრ გამოგვეცადოს ცხოვრების წმინდა და მაღალი სიხარული..

მღ. იოანე ლუკიანოვი.

სამზუსარო მოვლენა

ამას წინეთ ერთ მიცვლილ ნათესავის გასვენებაზე მომიბთა დასწრება. წესის აგებაში საჲ მი მღვდელი ლებულობდა მონაწილეობას. ნეტარ არიანიდან დაიწყეს ანდერძის აგება, რომელიც დიდ ხანს გაგრძელდა, რომლითაც დამსწრე საზოგადოება წესის აგების მოსრულებამდე სანახევროდ შამოეცალნენ მიცვლებულს. მიცვალეებულზე, რადგან შედავითნესაგან წაკითხულ იქნებოდა ნეტარ არიანი და სხვები, ურიგო არ იქნებოდა (თუ არ ვცთვები), წესის აგება დაეწყოთ „კურთხეულ ხარ შენ უფალო“ დან. როგორც ამას ამბობდა ნეტარ ხსენებელი ყოვლადსამღვდელი ეპისკოპოსი გაბრიელიც.

მოსახსენებელ კერეკსებში არა სისწორით იხსენიებდნენ მიცვალეებულს ერთი ამბობდა კეთილ შობილა ტა—ნაგ—ვას ასულს მეორე კეთილ შობილი ტ—ნეს და მესამე თ—ას. ასე რომ, მე როგორც შევნიშნე, დამსწრე ხალხს ასეთი უსწორ მასწორი მოხსენება არ მოსწონდა. თანახმად უწმიდესი სინოდის უქებისა მარტო სახელი უნდა ეხსენებიათ მიცვალეებულის და მეტი არც წოდება და არც გვა-

რე მისი. მგალობლები გალობდნენ, ნაცვლად „უფალო შეგვიწყალენ“ ისა „უფალო შეიწყალენს“. მიცვალეზულს საფლაეში ჩასვენების დროს ნაცვლად მიწის დაყრისა და ზეთის დასხმისა საცეცხლოურიდან ფერფლი დააყარა მღვდელმა, რომელსაც ცეცხლი გამოყვა და კუბოში მიცვალეზულს კინალამ ალი გაუჩინა.

მიცვალეზულის დასაფლაეების შემდეგ კირისუფლის სახლის გასანათლაეად მოსრულმა მღვდელმა აიაზმის სხურებისათვის ლიტიაზედ ნაცვლად მიცვალეზულისა ცოცხალთა ხსენება ჰყო.

აი რა ურიგობა გვეკირს ჩვენ, რომ ერთი ტიბიკონის წესით და ერთი რიგით არ ვასრულებთ წეს-რიგს საღმრთო მსახურებისას. ზოგი ალთას ვეწევით და ზოგი ბალთას. ამის მოსაწეს-რიგებლად; მე მგონია, რადგან ასე ერთს და იგივე წესს დაცილებული ვართ (თუ არ ვცთებთ) საჭიროა ადგილობრივ მღვდელმთავერებმა განკარგულება ქნან, რომ წელიწადში ერთხელ მაგნიარ სუსტ და უკოდნარ სამღვდლო და საეკლესიო მსახურთათვის გამართონ მონასტერში ან ადგილ-ადგილ თეორიული და პრაქტიკული კურსები სავარჯიშოდ და აქ განმარტებულ იქმეს ეკლესიის მსახურება გამოცთილ-სათნოიან პირებთაგან, და სათანადო ტიბიკონისა-მებრ შემოღებულ იქმნეს ერთნაირი მსახურება და ერთნაირი წეს-რიგის აღსრულება. დღეს რას გავს ჩვენი საღმრთო მსახურების საქმე? ეკლესიაში შეხვალ და რაებს არ დაინახავ საღმრთო მსახურების დროს? ნაცვლად იმისა, რომ ღვთისადმი გული ჰქონდეს მიპყრობილი, დაინახავ სამღვდლო პირს წმიდა საკურთხეველში, ამ სიწმიდის ადგილში, მოსეირნეთ, მოდარბაზეთ ან და მომძინარეთ. ვინ არიან ასეთები, მკითხავთ? ესენი არიან უმეტესად ის პირნი, რომელთაც მიუღიით საშუალო საღვთისმეტყველო განათლება და თანამდებობითაც და ღირსებითაც სხეებზე მალა დგანან. ასე რომ შიდ ეკლესიაში, რომელიმე მსახურის უშგევანო კითხვით, უშგევანო მიშხვრით და ავღებულ უსახო წირვა ლოცვით. სასოება ეკარგება ბევრ ნამდვილ

მორწმუნეს და ამისთვის არის, რომ ხალხი გაურბის ეხლანდელ დროში წმიდა ეკლესიას.
უნდო მღვდელი.

პრიტიკული შენიშვნაები.

(„გარდემლი“, სალიტერატურო კრებული. წიგნი 1.)

დ. კლდიაშვილის ნაწერებს ამ თოთხმეტი წლის წინათ მე ვუძღვენი ვრცელი კრიტიკული განხილვა და იგი თავსტამზე ავაკის „კრებულში.“ განსვენებულს პროფესორს მეტად კეთილშობილს აღექსანდრე ხახანაშვილს ვრცლად უსარგებლია თავის საყურადღებო „Очерки“-ებში დ. კლდიაშვილის დასაფასებლად იმ ჩემი სტატიით და აქ; ახლა დ. კლდიაშვილზე მე ვიტყვი იმას, რაც აქამდე არ მითქვამს.

დ. კლდიაშვილი მწერალი რეალისტიკა, ნამდვილი მხატვარი იმერეთის ბუნების და ახალი ცხოვრების ცოცხლად აღმწერი. ეს გადაწყვეტილი ჰეშმარიტებაა. მაგრამ ამას უნდა დაეუმატო აქ შემდეგი. ეს მწერალი ამასთანავე ფსიხოლოგიც არის, რომელსაც დიდი დაკვირვების ნიჭის გარდა, აქვს ნიჭი იმერელ თავდა-აზნაურთა ხასიათების გაცნობისა, ამ ადამიანთა მოქმედების, ყოფა-ქცევის და საქციელის ღრმად გაგებისა.

ახალმა ქართულმა ლიტერატურამ იმერეთში წარმოშვა მხოლოდ ორი ნამდვილი და ჰეშმარიტი რეალისტი ბელეტრისტი—გიორგი წერეთელი და დ. კლდიაშვილი. პირველის ბელეტრისტული ნაწარმოებნი: „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“, „მგზავრის წერილები“, „ოცი წლის წინათ“, „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“, „ბახვა ფულაეა“, „გულქანი“¹⁾ და სხვა ხატავენ სრულიად მთელი იმერეთის ყოველი

¹⁾ რომანი „გულქანი“. „მიხეხისა გამო სხვისა და სხვისა“ განსვენებულის სიცოცხლეში ვერ დაისტამბა. ავტორმა თავის სიცოცხლეში მე გადმოშვა წასაკითხავად ეს ახალი რომანი ხელნაწერით, უნდა ვთქვა, რომ შესანიშნავი ნაწარმოეა და საოკრადაც არის დაშუშავებული. მიკვირს, გიორგის კირისუფლები ამ რომანს არ ბეჭდავენ ახლა, როცა ბეჭდვის პირობები, წარსულთან შედარებით, გაუმჯობესებულია. ავტ.

წრის, ყველა წოდების მრავალგვარ მოვლინებას და ისეთი გასაოცარი ტიპებით ამდიდრებს ქართულ-ლიტერატურას, როგორც კუდაბზიკა, ნიკოლიკი, მამიდა, ასმათი, ედიშერ ქველბაქიანი, ბახვა ფულავა და იერემია წარბაა.

გიორგი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებში, როგორც სარკეში, ისე ჩანს ძირითადი, „მთავარი პოტივი“ ამ დიდათ დიდი ქართველი ბელეტრისტის ნაწერებისა, რომელნიც, საფრანგეთის სახელოვანი კრიტიკოსის ტენის არ იყვეს, წარმოადგენს დრო-ჟამის და რასის შეერთებულს ზედ-გავლენის რეზულტატს“.

დ. კლდიაშვილი ასეთი ფართე, ასეთი დიდი მასშტაბის ბელეტრისტი, რა თქმა უნდა, არ არის. იგი მოვლინებათა ერთ კატეგორიას ხატავს მხოლოდ. დ. კლდიაშვილის ტალანტი ერთი წრის, ერთი წოდების, სახელდობრ, იმერეთის სოფლის ღარიბი და შეუძლებელი აზნაურთა გამომხატველია.

ამ ნიადაგზე კი იმას თითქმის ბადალიც არა ყავს ჩვენში, რადგან დიდი დაკვირვებით გვიხატავს ამ წრის მოხუცებულებსაც, ახალგაზდებსაც, შუა ხნის ადამიანებსაც, კაცსაც და ქალსაც.

ამ საერთო დახასიათებას უნდა მივუმატოთ აქ ისიც, რომ დ. კლდიაშვილს დამკვირვებელს ნიქთან ერთად მეტად სიმპატიური მიმზიდველი წარმოდგენის ნიქი აქვს ბოძებული, რომელიც ამოვლენებულია დიდი შებრალების, შეცოდების მადლში.

თ. რაზიკაშვილის „ქორას ბახალა“ მეტად კარგი ნაწარმოებია. დიდის დაკვირვებით და ცხოველის ნიქით აქვს აღწერილი მის ქორისა და მისი ბახალების ცხოვრება. ამ ცხოვრებასთან ავტორს თითქოს საიდუმლოდ გადაუბამს, გადუკავშირებია თვისი ცხოვრებაც და დიდის გრძნობიერებით, პოეტურათ ხატავს მის სურათებს ჩვენი ცნობილი „ფითრის“ ავტორი.

ჩვენმა დალოცვილმა ფშავეთმა მოგვცა ერთი მადლიანი ოჯახიდან სამი ნიქიერი მწერალი შმა: ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და თ. რაზიკაშვილი, რომელნიც იძლევიან ერთი მეორე-

ზე უკეთეს საბავშვო მოთხრობებში ფრინველთა და ცხოველთა საუცხოვო აღწერას, სადაც ცოცხლად აყვარებენ და აცნობენ ქართველთა მოზარდი თაობის სულსა და გულს. ამ პატარა ნოველაშიაც თედოს აქვს ადგილი, რომელიც გახორციელებული მხატვრობაა: „არც მუხას ეცაღნა ცულის ძალა, არ იცოდა, რა იყო კაცის ხელი უხსოვარ დროიდან. იდგა აქ დახვესებული, დაღრეჯილი, თვითონაც-კი აღარ ახსოვდა თვისი წარსული, ვინ მოიტანა აქ ამ თვალუწვდენელ კლდის თავზე, ვინ ჩათესა ამ ქვასა და ქვიშაში?! გძელ ქალარა წარბებივით ჩამოფხუტოდა(?) ტოტებიდან მწვანე, ან ნისლის ფერი, ერთმანეთზე ასხმული და აჩონჩხილი ხავსი. საკვირველი იყო ეს ხავსი! ხან დროთა ბრუნვისგან დაჩაჩანაკებულ-სიკვილ-მიუყარებელ გრძნეულთა წვერს მოგაგონებდა, ხან გაფარჩხულს არწივის კლანქებს, ერთმანეთში გადახლართულთ, ხან ნახად ნაქსოვ პეპელების მხრებს, ან ფრთების მსგავს ჩადუნის (გვიმრის) ფოთოლს, ხან ყინვისგან ფანჯრის შუშებზე გამოხატულ საოცნებო სურათებს, ხან პატარა ჩიტების პაწია ბრტყალებს და შთლად კი, მუხის წვერიდან დედამიწამდე, საოცრად ასხმულს და აკინძულს საოცნებო არშიის გორგალს, თვალაუწვდომელ სიმაღლიდან ძირს დამპალ ფოთლებამდე ჩამოშლილსა...“

ნიქიერს მგოსანს **კ. მაყაშვილს** „გრდემლში“ მოუთავსებია ფრიად საყურადღებო სატირა—„ეშმაკი საქართველოში“. დიდი დაკვირვებით და მოსწრებული მახვილ-გონიერებით შეუქმნია ავტორს ეს ნაწარმოები, რომელიც, ჩემი აზრით, პირველი ამბავა ჩვენი ახალი ლიტერატურისთვის. ჩვენში, საზოგადოთ მოღვექსეობენ, პროზაიკობენ და ყოველგან ქადაგება, რეზონერობა, სენტენციები და მშრალი ამბებია აღწერილი. დაცინვა კი, ქეშმარიტი სატირა, სამართებელივით მკრელი ირონია და იუმორი ქართველს თითქოს არ ეხერხება. ეს გარემოება ბევრ რასმე გვეუბნება. მაგრამ იმაზე აქ შეჩერება, თუ რას გვეუბნება ეს ამბავი, ახლა შორს წამიყვანს და პირდაპირ საგანს შევუდგეთ.

ბ. კ. მაყაშვილის სატირა „ეშმაკი საქართველოში“ დიდად საყურადღებოა, როგორც ახალი ლიტერატურული მოვლინება ჩვენში და მინდა მასზე შევჩერდე.

კ. მაყაშვილმა სატირას მისცა საზოგადოებრივი მნიშვნელობა, გაუფართოვა მას საზღვრები და ამით მან შეიტანა ჩვენს ახალს მწერლობაში ახალი, მჩქეფარე ნაკადული. მართალია, აკაკის სატირაც საზოგადოებრივი იყო, იგიც დასცინოდა მწარედ ჩვენი საზოგადო ცხოვრების სისაძაგლეს და ზნე-წამხდარობას „აპელაციის მკოდნეში“, „ლამურაში“, „საბრალო ვირო, ვინ გააკვირვო“, „ბედნიერია ჩანჩურა“, „აქიქინე აქი-ბაქია“ და სხ. მაგრამ დიდი აკაკი, როცა იმისი უნაზესი პირადობა იყო ფრიად შეურაცხყოფილი, გამწარებულნი, მაშინ და მხოლოდ მაშინ მიმართავდა ხოლმე სატირას, ან შკრელს ირონიას და იგი სატირა მისი დიდი ტალანტის შესაფერი დიდ ზედმოქმედებასაც იწვევდა იმ დროს, რასაკვირველია.

კ. მაყაშვილმა მჭიდროთ დაუკავშირა სატირა ჩვენს, ქართველთა ყოველი წრის დღეინდელს ცხოვრებას და ამ დაკავშირებაში ნათლად გამოიხატა მწარე საზოგადოებრივი თვისების და ხასიათის სატირა. აი, ასეთი სატირა, დამეთანხმებით, განყენებული ხასიათის არ არის და, მაშასადამე, არც უნაყოფია. სინამდვილის მართლად დახატვამ მისცა ჩვენს ნიქიერს მწერალს — მგოსანს მჩქეფარე, ცოცხალი სახეები და მის მხატვრობაში მე ვხედავ, ახალს, დიდ ცხოველ-მყოფელს ფართე საზოგადოებრივი ხასიათის სატირას.

ხომელი.
შემდეგი იქნება.

სამდედლოების მოძაზღლ საქართველო კრების დეპუტატთა საყურადღებოთ.

ის, რაზედაც მე მინდა ამ წერილში მივაქციო ყურადღება მომაველ დეპუტატთა საეპარქიო კრებისა, შეიძლება ბევრ სხვებსაც მოსვლოდეს ფიქრით, მაგრამ დღემდის ეს საკითხი ისევე საკითხად დარჩა და მე საქიროდ მიმაჩნია

მომაველ კრებაზე ის იქმნეს ყოველ მხრივ აწონილ-დაწონილი და ასე თუ ისე გადაწყვეტილი.

მე მოგახსენებთ სამღვდლოების დეპუტატთა მატერიალურად უზრუნველყოფის შესახებ საეპარქიო კრების დროს.

ყველამ იცის თუ რა მატერიალურ კრიზისს განიცდის დღევანდელ დროში სამღვდლოება. ხაზინიდან არ ეძლევა საკმარისი და ხალხი უმეტეს შემთხვევაში არაფერს აძლევს; ამნაირ პირობებში მყოფი სამღვდლოება ირჩევს თავის შორის დეპუტატს, რომელიც თავის ამრჩევლებზედ ხშირად ბევრათ უღარიბესია და უფრო ცუდ პირობებში იმყოფება. დეპუტატებს ხშირად ორჯელ უხლებათ წელიწადში ქუთაისში შეკრება და ერთხელ კი მაინც აუცილებლათ; კრება გრძელდება თითქმის ერთ კვირამდის და ამ დროის განმავლობაში იძულებული ხარ ხარჯო ნასესხები ფულები, რითაც შეგძლო ერთ თვეს ცოლშვილის გამოკვება. ამას ისიც ზედ დაუმატეთ, რომ ბევრ ჩვენთაგანს ამ დროის განმავლობაში ოჯახში წყლის მომტანი და შვეშის დამპობიც კი არაფერ რჩება.

თუმცა საზოგადო საქმისთვის უანგარო სამსახური ყველა ჩვენთაგანისათვის იდეალი იყო და არის, მაგრამ სინამდვილე თანდათან თავს გვაცნობს. ქუთაისში მთელი კვირაობით ცხოვრება, შორს ოჯახიდან და სამწყოსსაგან, ჩვენისთანა ჯიბე გაფხეკილებისათვის მეტის მეტ მძიმე ტვირთად და უსამართლოდ მიმაჩნია. საქირთა ამ გარემოებას რაიმე გამოსავალი მოენახოს და ასეთად მე მიმაჩნია, დაენიშნოს ყოველ დეპუტატს საეპარქიო კრებების დროს არა უმცირეს თუთხმეტი მანეთისა. თუთხმეტი მანეთი დიდი ფული არ არის. ხშირად, როგორც მოვიხსენიე, დეპუტატები 5—7 დღემდის რჩებიან კრებებზედ და ეს ფული არც კი ეყოფათ, რომ ცოტაოდნავ სუფთა სასტუმროში იცხოვრონ და შედარებით სუფთა ადგილზე იხარჯონ.

შეიძლება მითხრან დღეს შენ ხარ დეპუტატი, ხვალ მეორე იქნება, ჯერ შესაძენ და ამ-

ნაირათ ყველა ჩვენგანმა იმსახუროსო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, ჯერ ერთი, ყველა სიმდიდრე - სიღარიბის მიუხედავად არ ვარგა დეპუტატთა და, მეორეთ, ნუ თუ ყველა ჩვენგანი ერთ ნაირათ არ იტანჯება უფულობით?!

რომელ წყაროდან მიეცეს დეპუტატებს ეს ფულები? ამ ნაირ წყაროდ მე მიმაჩნია სანთლის დუქანი. უნდა მოეწყოს ისე საქმე, რომ სანთლის დუქნის შემოსავლიდან ეძლეოდეს დეპუტატებს ეს ფულები და თუ სანთლის საწყობი ვერ შეძლებს ამას, იმ შემთხვევაში ყველა საბლადოჩინო ოლქის ეკლესიებმა უნდა შეინახონ თავისი დეპუტატები: მათი შესანახი ფული უნდა განაწილდეს ყველა ეკლესიებზე შეძლებისადაგვარად. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც სანთლის საწყობი უნდა ისტუმრებდეს დეპუტატებს და მერმე ეკლესიებიდან თითონ კრეფდეს.

მეტყვიან ეკლესიებს არაფერი შემოსავალი აქვთ და სიღატაკი გადინადონ ეს ზედმეტი ხარჯი? მაგრამ ეს ეკლესიას დიდ ხარჯად არ დააწვება; რადგან ათ ეკლესიას ერთი დეპუტატი ჰყავს, ამიტომ თითოეულს მხოლოდ მანეთ ნახევარი გასავალი მოემატება არსებულზე. ისიც შეიძლება, რომ დეპუტატების რიცხვი შემცირდეს და თითო საბლადოჩინოდან თითო წამოვიდეს. ამით არაფერი წახდება, რადგან 24 კაცი სრულიად საკმარისია იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც საზოგადოთ წამოყენებულ არიან ხოლმე საეპარქიო კრებაზე. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ეს საკითხი პრესის საშუალებით ყოველ მხრივ აწონილ-დაწონილი იქნეს კრებამდის, რომ ყველა ჩვენგანი კრებაზე უკვე ამ საკითხთან გაცნობილი მოვიდეს. ამასთანავე საჭიროთ მიმაჩნია ეს საკითხი შეტანილ იქნეს კრებაზე განსახილველ საკითხთა სიაში.

დასასრულ საჭიროთ მიმაჩნია მოვიხსენიო, რომ მე ამ საკითხის წამოყენებაში არავითარი

პირადი ინტერესით არ ვხელმძღვანელობ. ნურავინ იფიქრებს, ვითომც მე როგორც დეპუტატი, პირად სარგებლობას ვეძებდე. შეიძლება ჩემი ალაგი ხვალ სხვამ დაიკავოს. ყოველ შემთხვევაში, თუ ჩემს გულწრფელობაში იჭვი დაებადება ვინმეს, მზათ ვარ დავანებოთავი დეპუტატობას, მაგრამ მაინც ყოველთვის ვეცდები სიტყვით და პრესის საშუალებით გავატარო ცხოვრებაში ეს ჩემი სამართლიანი შეხედულობა ამ საგანზე.

დებ.—მლ. სევ. კაკელიძე.

კვირიდამ-კვირამდე.

— განსვენებულ მიტროპოლიტ ანტონის მაგიერ უმაღლესი ბრძანებისამებრ პეტერბურგის მიტროპოლიტის ადგილი მოსკოვის მიტროპოლიტ ვლადიმერს ებოძა.

— მიტროპოლიტ ვლადიმირის ადგილზე ასახელებენ არხიეპისკოპოს ანტონ ეოლინელს, მასვე ასახელებენ სრულიად რუსეთის პატრიარხად.

— 21 ნოემბერს მისმა შეუფხამ ყ-დ სამღვდლო გიორგიმ ეპარქიალურ საქალებო სასწავლებლის ეკლესიაში სწირა და მოსწავლე ქალები აზიარა.

— იმერეთის სამღვდლოების სამარხი კასის წესდება 20 ნოემბერს დღით სამშაბათს უნდა განეხილა სინოდის კანტორას ხმა დადის წესდება კანტორამ უვნებლად სცნო და ეხლა სინოდში უნდა წარადგინოს დასამტკიცებლად.

— იმერეთის სამღვდლოების დეპუტატთა კრება დანიშნულია 16 დეკემბერს.

—დარის მონასტერთან არსებულ მეღვინეთა კურსების სასარგებლოდ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ 250 მანეთი გადასდო. (სახალ. გაზ).

მღვდ. მ. კელენჯერიძის წიგნის, „გაბრიელ ეპისკოპოზი იმერეთისა“ (მისი დრო და მოღვაწეობა) ბეჭდვას უკვე შეუდგენილ. ამიტომ უმორჩილესად ესთხოვთ ყველა აგენტებს გაყიდული კვიტანციების ფული გამოგვიგზავნონ შემდეგი მისამართით: ქუთაისი ჟურნალ „განთიადის“ და გაზ. „შინაური საქმეების“ რედაქცია. გამომცემლები დიდ მადლობას უძღვნიან მ. არხიმანდრიტ ნაზარს, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა მათ ამ საქმეში.



ანტონ მიტროპოლიტი.

საუკუნოდ განისვენა რუსეთის ეკლესიის თვალჩინებულმა მწყემსთ-მთავარმა, პეტერბურგის და ლადოგის მიტროპოლიტმა ანტონმა. მისმა გარდაცვალებამ როგორც რუსეთის სამღვდლოებაზე, ისე საზოგადოების უმეტეს ნაწილზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. აი როგორ მოგვითხრობს იმის ვინაობაზე სატახტო ქალაქის გაზეთი „რეჩი“: ანტონ მიტროპოლიტმა (ერისკაცობაში ალექსანდრე ვადკოვსკიმ) მე-60 წლებში გაათავა ტაშოვრის სემინარია და ყაზანის აკადემია. მთელი მისი სიცოცხლე შეადგენდა ჰუმანისტურ იდეალიზმს. ბერად აღიკვეცა შემდეგ კოლის და ორი შვილის გადაცვალებისა. 1885 წ. დაინიშნა პეტერბურგის აკადემიის ინსპექტორად, ხოლო 1887 წ. ეპისკოპოსად და რექტორად. სტუდენტობა მას პატივსცემდა, როგორც ლიბერალ უფროსს. 1892 წ. მიიღო საეკლესიო ისტორიის დოქტორის ხარისხი „Къ исторіи христіанекой проповѣди“-ს შედგენისათვის. ამავე წელს დაინიშნა ფინლანდიის მთავარ-ეპისკოპოსად. 1897 წ. გაიგზავნა რუსეთის ეკლესიის

სიის დელეგატად ინგლისში დედოფალ ვიქტორიას იუბილეზე დასასწრებლად და იქიდან დაბრუნდა ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტების თეოლოგიის საპატიო დოქტორის ხარისხით. 1898 წ. მიიღო პეტერბურგის მიტროპოლიტობა. მას მიტროპოლიტობის დროს ხშირად სჭირდებოდა დათმობის გზაზე სვლა, მაგრამ ამასთანავე მასში იყო ფართე ჰუმანიური მსოფლ-მხედველობა.

12 დეკემბერს 1904 წ. ანტონი მიიწვიეს მინისტრთა კომიტეტში თანახმად უმაღლესი ბრძანებისა „სახელმწიფო წესიერების განვითარების შესახებ“; იქ აშკარად წარმოსთქვა მან თვისი აზრი იმაზე, რომ ეკლესიისათვის შეუსაბამოა სხვა რჯულის დევნა და წარადგინა მოხსენება „О желательныхъ преобразованіяхъ въ управленіи православної церкви“. იმაში იგი საჭიროთ რაცდა სამღვდლოებისათვის პოლიტიური ოპეკისაგან განთავისუფლებას და ავტონომიის მინიჭებას. 1906 წელს კრების წინასწარ საკრებულოში მემარცხენეთა უმცირესობას ემხრობოდა. მეორე სათათბიროს დათხოვნის შემდეგ სხვა სიომ დაბერა და მიტროპოლიტმა ბევრი გადაიმტერა და ბრლოს დათმობის გზას დაადგა და კიდევ დააეთამყოფდა.

ანტონი ექვის თვალით უყურებდა საეკლესიო საქმეების თანამედროვე მსვლელობას და როდესაც ძალ-ღონეს მოიკრებდა, კვლავ ეომებოდა ამ სულის უკუღმართობას. თანამედროვე საეკლესიო ბედ-იბბლის გამომკვეთ არაფრად მოსწონდათ მიტროპოლიტი. უკანასკნელად სასტიკად დაჰგმო მან სინოდში სამღვდლოების დამამკირებელი როლი მეოთხე სათათბიროს შესადგენად და აკი ამ აღელვებულმა სიტყვამ თან იტანა და საუკუნოდ მოსწყვიტა ეკლესიას იგი!

მღ. კ. ა.—ძე.

მოწერილი აბებები.

სოფ. ტყაია.

დაბა ზუგდიდიდან 15 ვერსის მანძილზე მდებარეობს ერთი პატარა სოფელი — ტყაია. ეს

ახალი ჟურნალი „განთიადი“

1913 წლის პირველი იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ენკლოპედიური ჟურნალი

„განთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ლეთისმეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქში დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ელირება: წლიურათ 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურათ 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთით და 10 შაურით ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდანვე ქ. ქუთაისში ი. კვიციანიძის გაზეთების კანტორაში, მთავარიშეაღის და აშხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

რედაქტორ-გამომცემელი მლ. ს. მჭედლიძე.



სოფელი წინეთ დიდი ტყიანი ადგილი ყოფილა და ამიტომ ტყაია დაურქმევიათ. დღეს ამ სოფლის მცხოვრებნი 80 კომლამდე იქნებიან, მათ შორის 16 კომლი თავადიშვილია, გვარად ჩიქოვანები. ესენი არიან გადმოახლებულნი ჯვარის საზოგადოებიდან 19 საუკუნის მესამოცე წლებში. გადმოსახლებისთანავე გაუშენებიათ პატარა ხის ეკლესია, რომელიც მესტრამეტე საუკუნის დასასრულამდე ზედ-მიწერილად ითვლებოდა და ახლა კი გაშტატებულია. ეს ეკლესია არის გაშენებული წმიდის გიორგის სახელზე, რომელსაც ტყაიას

წმიდის გიორგის ეკლესია ეწოდება; ამ ეკლესიის სამრევლოში მცხოვრებნი სქესისა და წოდების განურჩევლად ღვთის სიყვარულით გამსჭვალულნი არიან; მაგრამ უფრო ღირსშესანიშნავი კაცი ამ სოფელში თავადი ხიმონ ჩიქოვანია. ეს არის მუშაკი დაუღალავი ამ სოფლის მცხოვრებთა გაუმჯობესობისა და წინ-წაწევისათვის. დიდი ხანია საზოგადოება ფიქრობდა ნაცვლად ხის ეკლესიისა გაუშენებია ქვიტიკის ეკლესიას; მაგრამ მატერიალური მდგომარეობა ხელს უშლიდა მათ. ამ ბოლო დროს მოწყალე თვალთ ვადმოხედა

უფალმა ამ მორწმუნე ხალხს და შემწე კაცი აღმოუჩინა, თავადი სიმონ ჩიქოვანი. ეს მოხუცი თავადიშვილი დაპირდა საზოგადოებას 2000მანეთს, თუ რიგიან ეკლესიის შენებას შეუდგებოდა. რა თქმა უნდა, ამდენი ფულის დაპირებამ ხალხი წააქეზა ეკლესიის აშენებაზე და ერთ-ხმათ თანხმობა გამოაცხადა.

1910 წელს დაიწყეს ქვიტიკის ეკლესიის შენება ბატ. სიმონის შემწეობით და ადგილობრივი მღვდლის კოდრატე თოლორაიას თაოსნობით. ბ. სიმონმა სიტყვიერი დაპირება საქმიანად დაამტკიცა და შემოიტანა აღთქმული ფული თავ-თავის დროზე.

ეკლესიის აშენება იჯარით აიღეს თ. პროკოპი ჩიქოვანმა და მოვაკრე ჯარვა სამუშაომ და კიდევაც მოათავეს, გარდა კანკელისა. კანკელი იმათ პირობაში არ ეწერა. როგორც ვიცით სარწმუნო პირებიდამ, მოიჯარადრეებს თავიანთი ჯიბიდან ას თუმნამდე დიუმატებით. ეკლესია არის გაშენებული მშვენიერ ღამაზ ქართულ პლანზე, გუმბათიანი, რომელიც ჯდება თითქმის ექვსი ათას მანეთამდე. სივრცით ზომიერია, თან სამრევლოც ეკლესიაზეა მიშენებული. 1910 წელს, როცა მისი მეუფება, ყოვლადსამღვდლო ლეონიდე, სარევიზიოდ დაბრძანდებოდა, სხვათა შორის ეს ეკლესიაც დაათვალიერა. მაშინ ახალი დაწყებული იყო, მაგრამ მაინც მოეწონა მის მეუფებას და ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „გეტყობათ, მორწმუნენი ყოფილხართ, რადგანაც ამ პატარა სამრევლოს ამისთანა დიდი ეკლესიის აშენება დაგიწყიათო და თან დაუმატა: როცა ამ ეკლესიის შენება მოათაოს, მაცნობეთ და გიკურთხებთო.“

ახლა, ღვთის შემწეობით ეკლესიის შენება მოთავსებულია, მხოლოდ კანკელი გვაქვს და ეს გვიბრკოლებს ეკლესიის კურთხევას. ვიმედოვნებთ, რომ მამა კოდრატე თავისებურად დატრიალდება და მოკლე დროში იმასაც შეიძენს, რითაც დაგვირგვინებს ბ. სიმონის და მის მიერ ამდენი ხნის ნაშრომ-ნაჭირნახულებ საქმეს.

მედავითნე პლატონ საჯაია.

მადლოვის გამოცხადება

ძამა რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სუფსის სადგურზე მცხოვრებს და საქილაოს მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მედავითნე ერმილე გიორგის ძე კანდელაკს, რომელმაც თავის მეთაურობით და დაუფალავი შრომით და ამა ეკლესიის მრევლის დახმარებით შესძინა ამა ეკლესიას ძვირფასი გარდამოსხნა, ღირებული 50 მ., კუბო გარდამოსხნის, ღირებული ოცი მანეთი და სტოლი გარდამოსხნისთვის, ღირებული 3 მ. სულ 73 მანეთის საფასო.

ამა ეკლესიის მრევლი, სპინისტრო შკოლის მასწავლებელი გ. ნ. პიტავა

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჟავლიძე**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

ყოყნად „განთიადის“ და გაზ. „შინაური საქმეების“ კანტიონში

იყიდება სამღვდლოებისათვის საქირო შემდეგი ბლანკები:

- 1) მეტრიკის ამოწერილობანი, 2) ნების მოწმობები, 3) საქმედლოების აღსარებითი სიები, 4) რწმუნებანი და მოთხოვნანი (Требов. и Удостов.), 5) სავადო ცნობები (ბლალოჩინთათვის), 6) სალდათების სიები, 7) კანტრაქტები, 8) სატარებელი წიგნაკები (Разносный кн.), 9) შემოსავალ-ვასავლის წიგნები, 10) ცნობის ფურცლები (Справоч. листы), და სხ. აქვე იყიდება სარწმუნოებრივ-ხელობრივი წიგნები და წიგნაკები.

3 რ.
въ годъ за
24 книги.

БЮЛЛЕТЕНИ

ЛИТЕРАТУРЫ и ЖИЗНИ.

Двухнедельный журнал **НОВАГО ТИПА.**

Открыта
подписка на
1912—13 г.
(4-й г. изд.)

Задача журнала—всесторонне отражать картину идейной, духовной жизни страны. Журналъ печатаетъ только то, что имѣетъ *длительный интересъ, интересъ, такъ сказать, вѣчности, что раскрываетъ жизнь въ ея основъ, что углубляетъ душу читателя и расширяетъ его умственный кругозоръ.* Библиогр. отдѣлъ представленъ въ такомъ исчерпывающемъ видѣ, какъ ни въ одномъ изъ существующихъ журн. Библиографія, какъ она ведется въ „Бюллет.“, необходима для самаго широкаго круга читателей. ♦ О такомъ типѣ изданія мечтали Г. Успенскій (см. „Русск. Бог.“, 1912 г., III кн. „Изъ переписки Успенскаго“) и Ф. Достоевскій (см. бесѣду Дроздовой съ Шатовымъ въ „Бѣсахъ“). ♦ За истекшій годъ въ журн. напечатано **350 статей** и около **1,000 отзывовъ о кн.**, данъ перечень **2,500 новыхъ кн.**, и приведено содерж. **40 журн.** за весь годъ.

ОТЗЫВЫ ПЕЧАТИ.

„Утро Россіи“: „Журн. заслуживаетъ особаго вниманія, какъ період. органъ, дѣйствительно, новаго типа, потребность въ которомъ ощущалась давно. Въ журн. сообщается все наиболее интересное, что дано текущей печатью“. ♦ „Русск. Вѣдом.“: „Бюллетени“ довольно хорошо справляются со своею задачею. Они знакомятъ болѣе или менѣе обстоятельно съ выдающимися явленіями современной жизни“. ♦ „Русск. Школа“: „Бюлет. дѣлаютъ свое дѣло умѣло и живо. Они любопытны даже для легкаго чтенія. Какъ справочникъ же, „Бюллет.“ оказываютъ огромную услугу“. ♦ „Огни“: „Бюллет.“ завоевываютъ себѣ все больше и больше симпатію публики. Трудно представить человека, съ извѣстными культурными запросами, который бы не нашелъ для себя чего-либо интереснаго въ журн. Онъ дастъ въ каждомъ номерѣ статьи о новыхъ теченіяхъ въ литературѣ, о всѣхъ вопро-

сахъ, затронутыхъ литературой, о всѣхъ новыхъ книгахъ, о всѣхъ журн.“. ♦ „Русск. Сл.“: „Въ журн. запечатлѣна вся литературная жизнь года“. Ему также „нельзя отказать въ значеніи хорошаго справочника, пользованіе котор. облегчается соотвѣтств. указателями“. ♦ „Совр. Сл.“: „Бюллет.“ переплетены теперь въ два изящныхъ тома и представляютъ собой обзоръ минувшаго года въ литератур.-художеств. и идейномъ отношеніи... Задача журн. имѣетъ несомнѣнно культурное значеніе“. ♦ „Голосъ“: „Бюллет.“ отмѣчаютъ все болѣе или менѣе выдающееся во всѣхъ отрасляхъ науки и литературы... Въ журн. сосредоточено все новое, что позволяетъ постоянно быть въ курсѣ настроеній и исканій, какъ отечественной, такъ и міровой мысли. Дешевая цѣна дѣлаетъ его доступнымъ широкому кругу читателей“.

ПРОСПЕКТЪ ПО ТРЕБОВАНІЮ ВЫСЫЛАЕТСЯ БЕЗПЛАТНО.

Подписная цѣна: на годъ—3 р. Разсрочка: 1 р.—при подл., 1 р.—къ 1-му янв., 1 р.—къ 1-му мая. для сельск. учит. на годъ—2 р. 50 к.

Подписной
годъ
начинается
съ 1-го
сентября.

Подписка принимается во всѣхъ книжн. магаз. и почт. учрежд.

Контора и ред.: Москва, Хлѣбный, д. 1.

Изд.: В. Крандіевскій и В. Носенковъ. Ред. В. Крандіевскій.

Можно под-
писываться
съ 1-го чис-
ла кажд.
мѣс.